


**მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №9(119) 2016 წ. 1-15 მაისი ფასი 50 თეთრი**


# ინფრასტრუქტურა-2016

# „პროგრამა სოფლის პრობლემებს გადაჭრის“

**მალე ფართო მასშტაბით გაიშლება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების ხორცშესხმა. სწორედ ამ პროგრამის შესახებ გვესაუბრება დღეს ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი**



***– ბატონო გიორგი, ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობა დიდი მოლოდინით ელის აღნიშნული პროგრამით სოფლად არსებული პრობლემების მოგვარებას. იქნებ გვესაუბროთ პროექტების შესახებ...***

– **2016 წელს** ჩვენს მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის პროექტების განსახორციელებლად 1082163 ლარია გამოყოფილი და მთლიანად იმ პრიორიტეტული საკითხების მოგვარებას მოხმარდება, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობამ სოფლის კრებებზე ერთობლივად დასახა. მაშ, ასე:

**<u>გომბორის თემი:</u>**

**გომბორი** – ა) 2309 ლარი – სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეზერვუარში დაერთებას მოხმარდება.

ბ) 15068 ლარი – სასაფლაოს შემოღობვას;

გ) 3309 ლარი – სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციას;

**რუსიანი** – 5485 ლარი სარიტუალო ასაწყობი კონსტრუქციის შეძენა;

**ვერონა** – 5700 ლარი – სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია;

**ვაშლიანი** – 4591 ლარი – შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია;

**ასკილაური** – 6024 ლარი – შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია

**<u>უჯარმის თემი</u>**

**უჯარმა** – 19364 ლარი – გარე განათების მოწყობა

**პალდო** – 5075 ლარი – სასმელი წყლის სათავის რეაბილიტაცია

**მუხროვანი** – 5281 ლარი – სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

**<u>კოჭბანის თემი</u>**

**კოჭბანი** – 3309 ლარი – სასაფლაოს შემოღობვა

**კოჭბანი** – 3095 ლარი – სარწყავი არხის სათავე ნაგებობის მოწყობა

**ოთარაანი** – 4718 ლარი – სასმელი წყლის სისტემის სათავის და ქსელის რეაბილიტაცია

**სასადილო** – 5676 ლარი – სარწყავი სისტემის მოწყობა

**გორანა** – 5704 ლარი – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

**იკვლივ გორანა** – 4798 ლარი – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

**ხაშმი** – **ა)** 14070 ლარი შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია

**ბ)** 20309 ლარი – გარე განათების მოწყობა

**პატარძეული** – ა) 7323 ლარი – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

ბ) 19309 ლარი – სასმელი წყლის რეზერვუარისა და ტუმბოს შეძენა

გ) 25915 ლარი – სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია

**ნინოწმინდა** – ა) 5309 ლარი – სკვერის მოწყობა

ბ) 40806 ლარი – სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია

**წყაროსთავი** ა) 14309 ლარი – გარე განათების მოწყობა

ბ) 7268 ლარი – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

**<u>გიორგიწმინდის თემი</u>**

**გიორგიწმინდა** – 47716 ლარი – სოფელში ჭაბურღილის მოწყობა

**ანთოკი** – 5616 ლარი – სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის აღდგენა

**მარიამჯვარი** – 5065 ლარი – სასმელი წყლის ცენტრალური მილის შეცვლა

**თოხლიაური** – 26522 ლარი – სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის გამოყვანა

**სათაფლე** – 5985 ლარი – საქონლის დასაწყურებლის მოწყობა

**მანავი** – ა) 30309 ლარი – სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია

ბ) – 6309 ლარი – სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია

გ) 15309 ლარი – ორი მოსაცდელის მოწყობა

დ) 3888 ლარი – გარე განათების მოწყობა

**ზემო ბურდიანი** – 4849 ლარი – სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა

**დიდი ჩაილური** – ა) 22896 ლარი – გარე განათების მოწყობა

ბ) 4309 ლარი – საბავშვო-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა

**პატარა ჩაილური** – ა) 17309 ლარი – გარე განათების მოწყობა

ბ) 2985 ლარი – შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაცია

გ) 7309 ლარი – სასმელი წყლის სათავე ნაგებობის შემოღობვა

**კაკაბეთი** ა) 1259 ლარი – სასმელი წყალზე ონკანების დამონტაჟება

ბ) 53906 ლარი – გარე განათების მოწყობა

**ვერხვიანი** – 15524 ლარი – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

**<u>ყანდაურის თემი</u>**

**ყანდაურა** ა) 23689 ლარი – სტადიონის რეაბილიტაცია

ბ) 1309 ლარი – სოფლის სკვერში განათების მოწყობა

გ) 4309 ლარი – საბავშვო-ბაღისთვის გასართობი ატრაქციონის შეძენა

**ზ. ყანდაურა** – 4824 ლარი – შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია

**ბადიაური** – 32529 ლარი – ე.წ. “სოკარის” წყლის რეაბილიტაცია

**მზისგული** – 18026 ლარი – სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია

**შიბლიანი** – 16754 ლარი – გარე განათების მოწყობა

**<u>იორმუღანლოს თემი</u>**

**იორმუღანლო** ა) 9306 ლარი – სასაფლაოს შემოღობვა

ბ) 7309 ლარი – მოსაცდელის მოწყობა

გ) 4309 ლარი – არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობა

**ქეშალო** – 14526 ლარი – სარწყავი არხის გაწმენდა

**იორმუღანლო** – 33309 ლარი – შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია

**იორმუღანლო** – 15309 ლარი – მოსაცდელის მოწყობა

**<u>დუზაგრამის თემი</u>**

**დუზაგრამა** – ა) 10600 ლარი სარწყავი არხის რეაბილიტაცია

ბ) 17309 ლარი შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაცია

**პალდო** – 10960 ლარი – მსარწყავი არხის რეაბილიტაცია

**დუზაგრამა** – 16309 ლარი – შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია

**წიწმატიანი** – 9309 ლარი – სარწყავი არხის რეაბილიტაცია

**დუზაგრამა** – 18229 ლარი – შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია

**<u>ლამბალოს თემი</u>**

**ლამბალო ზემო ლამბალო ქვემო ლამბალო თულარი იორმუღანლო** – 97665 ლარი ე.წ. “სოკარის” წყლის რეაბილიტაცია (ერთად).

**ზემო ლამბალო** – 20309 ლარი შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია

**ლამბალო** – 23641 ლარი სარწყავი არხის რეაბილიტაცია

**ქვემო ლამბალო** – 45410 ლარი სასმელი წყლის სისტემის მოწყობა

**<u>თულარის თემი</u>**

**თულარი** – ა) 21969 ლარი – სავარგულებში სადრენაჟე სისტემის მოწყობა

ბ) 20865 ლარი – შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია

**კაზლარი** – 34446 ლარი – სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისათვის სასაწყობე შენობის აშენება

**უდაბნო** – 18445 ლარი – ძველი ბაღის შენობაში “კულტურული ცენტრის” მოწყობა



***– როგორც ცნობილია, 2014-2015 წლების „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან განსაზღვრული რაოდენობის თანხა ვერ გაიხარჯა და ამ თანხამ 101 ათასი ლარი შეადგინა. საინტერესოა, რატომ ვერ მოხერხდა ამ თანხების ათვისება და რა იყო მის ათვისებაში კონკრეტულად ხელისშემშლელი?***

– ეს თანხა მართლაც 101 ათას ლარს შეადგენს. ნუ ვიტყვით ვერ, ან არ გაიხარჯა, რადგან ეს არის ის თანხები, რომლებიც ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებისას მშენებელმა ორგანიზაციამ ვერ გახარჯა. ეს „ეკონომია“ კი ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებს სიკეთედ წაადგა – მშენებელთა მიერ გაუხარჯავ თანხებს, ობიექტების პროექტირებისას

*<u>დასასრული მე-6 გვერდზე</u>*

## ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავი

# 9 მაისი საგარეჯოში




**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტში ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავი აღინიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა***, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ***განათლების,კულტურის,ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჯაბადარმა*** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების 71 წლისთავი მიულოცეს და მათთან ერთად ქ. საგარეჯოში სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალური დაფა და სოფელ პატარძეულში „გმირთა სავანე" გვირგვინებით შეამკეს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 11 ვეტერანს, მათთვის მიძღვნილ სადღესასწაულო სადილზე, მთავრობის გადაწყვეტილებით, სპეციალურად ამ დღისთვის 600 ლარი გადაეცა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლებისაგან 200 ლარი პირად საპენსიო ანგარიშზე ჩაერიცხა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა კიდევ ერთხელ ულოცავს მეორე მსოფლიო ომის ყველა ვეტერანს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს და მათ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს.



პატარძეულის გმირთა სავანეში

*მზანა ჯავახიშვილი*

## საკრებულოს სხდომაზე განიხილეს

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი



**მიმდინარე** ***წლის 27 აპრილს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ მოისმინეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გასული 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა. მომხსენებელი გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი თინათინ ძაბილაშვილი შეეცადა მსმენელისათვის სიღრმისეულად და მუხლობრივად გაეცნო ბიუჯეტის შესრულება. მომხსენებლის მცდელობას ფაქტების, მუშაობის დაკონკრეტების, გამჭვირვალობის საჩვენებლად ზოგიერთი უარყოფითი ემოციებით შეხვდა, თუმცა დაუსაბუთებელი არგუმენტებით. როგორც გაირკვა, ზოგიერთი დამსწრე დეპუტატები, რომლებიც წინა სხდომაზე დაჟინებით ითხოვდნენ ბიუჯეტის განხილვას, საერთოდ არ იცნობდნენ ბიუჯეტს და უბრალოდ თავიანთი უარყოფითი ემოციების გამომჟღავნებას ცდილობდნენ.***

***გაზეთის ფორმატის გამო არ ვფიქრობდით ბიუჯეტის მთლიანად განხილვას გაზეთის გვერდებზე, მაგრამ, ვფიქრობთ, ოპონენტებისათვის საინტერესო იქნება გაეცნონ და დასკვნებიც გამოიტანონ – 2015 წლის ბიუჯეტი შესრულდა...***

**როგორც** მომხსენებელმა აღნიშნა: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტმა, რომელიც დამტკიცებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის № 76 დადგენილებით 2015 წლის განმავლობაში ცვლილება განიცადა 6-ჯერ, ბიუჯეტის მოცულობა 7475,5 ათასი ლარიდან გაიზარდა 12361,8 ათას ლარამდე, ანუ გაიზარდა 4886,3 ათასი ლარით.

კერძოდ, მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 2480,4 ათ. ლარით და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით გამოყოფილი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებიდან 1012,3 ათ.ლარით (1012296 ლარი).

– არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლების გეგმა კი გაიზარდა 126,2 ათ. ლარით.

– ფინანსური აქტივების კლებამ (2015 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი განაწილდა) შეადგინა 1392.6 ათასი ლარი;

გადასახდელები გაიზარდა, ასევე, 4885,3 ათასი ლარით, კერძოდ: საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი და მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ჩარიცხული იქნა 2258,2 ათ. ლარი. აქედან, 2016 წლის 1 იანვარს აუთვისებელი ნაშთი დარჩა 425,6 ათ. ლარი: 1) გზების რეაბილიტაცია – 81,2 ათ.ლარი; სკოლამდელი დაწესებულებები 10,6 ათ.ლარი; წყლის რეაბილიტაცია – 33,4 ათ.ლარი. 11 პროექტიდან დასრულებულია 8 პროექტი, მათ შორის: 1) ქ.საგარეჯოს კოსტავას ქუჩაზე არსებული საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 105,2 ათ.ლარი; 2) სოფელ მანავის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 131.4 ათ.ლარი; 3) სოფელ გომბორში არსებული საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 84.9 ათ. ლარი; 4) ქ.საგარეჯოს ერეკლე II-ის ქუჩის ასფალტის საფარის და ტროტუარის მოწყობა – 489,4 ათ. ლარი; 5) ქ.საგარეჯოს თამარ მეფის ქუჩის ასფალტის საფარის და ტროტუარის მოწყობა – 306.8 ათ. ლარი; 6) სოფელ გიორგიწმინდაში ასფალტის საფარის მოწყობა – 135,9 ათ. ლარი; 7) სოფელ ბადიაურში ასფალტის საფარის მოწყობა – 255,5 ათ. ლარი; 8)სოფელ კაკაბეთში ასფალტის საფარის მოწყობა – 286,3 ათ. ლარი. სამუშაოები მომდინარეობს : 1) სოფელ პატარძეულში – ჭაბურღილისა და შიდა ქსელის მოწყობა – (ხელშეკრულებით 42.3 ათ.ლარი შესრულება 25.4 ათ.ლარი) 2) სოფელ წყაროსთავსა და აჭარლების უბანში – 4 ჭაბურღილის მოწყობა, შიდა ქსელის მოწესრიგება (ხელშეკრულება 198,5 ათ. ლარი შესრულება 81.7ათ.ლარი). 3) სოფელ ხაშმში – სათავე-ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება 465,6 ათ. ლარი). სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გახარჯულია 43,3 ათ.ლარი 2015 წელს აღნიშნული განკარულებით გახარჯულია სულ 1 945,8 ათ.ლარი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი იქნა 1012,3 ათ. ლარი. („სოფლის მხარდამჭერი" პროგრამით) აღნიშნული განკარგულებიდან 2015 წელს შესრულდა 797,1 ათ.ლარის სამუშაოები. მათ შორის: 1)საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 185,8 ათ.ლარი; 2) წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 383,6 ათ.ლარი; 3)გარე განათების მოწყობა და რეაბილიტაცია – 54,4 ათ.ლარი; 4) სანიაღვრე არხები – 37,1 ათ.ლარი 5) ხევების კალაპოტების გამაგრება-გაწმენდა – 27,8 ათ.ლარი; 6) კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები 58,3 ათ.ლარი; 7) სკოლამდელი დაწესებულებები – 27.9 ათ.ლარი; 8)სოფლის ამბულატორიები – 12,3 ათ.ლარი; 9) სხვა ხარჯი სოფლის მეურნეობის ხაზით – 10,8 ათ. ლარი. 2016 წლის 1 იანვრისათვის აღნიშნული განკარგულებით დარჩენილია 215,2 ათ.ლარი, რისი ხარჯვაც მოხდება 2016 წელს. 2015 წელს ასევე შესრულდა 2014წლის საქართველოს მთავრობის №34 განკარგულებით დარჩენილი სოფელ დიდ ჩაილურში სასმელი წყლის გამოყვანა (მეორე ნაწილი) – 107,2 ათ.ლარი. აუთვისებელია 150,6 ათ.ლარი. მათ შორის: წყლის სისტემის რეაბილიტაცია – 60.7 ათ.ლარი; გზების რეაბილიტაცია – 89,9 ათ.ლარი (სოფელ ლამბალო-თულარის ხიდის რეაბილიტაცია). ასევე 2015 წელს გადმოვიდა ნაშთი 2014 წლის „სოფლის პროგრამის" მთავრობის განკარგულება №471 -ით დარჩენილი აუთვისებელი თანხა 86.4 ათ.ლარი. 2015 წელს აღნიშნული განკარგულებიდან გაიხარჯა 56,3 ათ.ლარი, 2016 წლის 1 იანვრისათვის აუთვისებელი ნაშთი გადმოვიდა 30,1 ათ.ლარი.

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ასე გამოიყურება:**

-საერთო დანიშნულების სახელმწიფო სამსახურის ხარჯები შემცირდა 35,8 ათასი ლარით;

- გაიზარდა თავდაცვის ხარჯები 0,8 ათ ლარით.

- ეკონომიკური საქმიანობა გაიზარდა 2 174.8 ათასი ლარით; მათ შორის: საავტომობილო ტრანსპორტი და გზები – 2125,9 ათასი ლარით; სოფლის მეურნეობა – 48,9 ათ.ლარით;

- გარემოს დაცვა – გაიზარდა 222.6 ათ.ლარით: მათ შორის: ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება 138,4 ათ.ლარი, ჩამდინარე წყლების მართვა 84,1 ათ.ლარით.

- საბინაო კომუნალური მეურნეობა გაიზარდა -1942,2 ათასი ლარით, მათ შორის: წყალმომარაგება- 1774,8 ათ.ლარით; გარე განათება – 56.8 ათ,ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში გაიზარდა 110,6 ათ,ლარით.

-ჯანმრთელობის დაცვა გაიზარდა 18,8 ათ. ლარით. მათ შორის: ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურეობა გაიზარდა 15,8ათ.ლარით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობა 3,0ათ.ლარით.

- დასვენების, კულტურის, რელიგიის დაფინანსება გაიზარდა - 135,5 ათასი ლარით, მათ შორის: მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში - 123,2 ათასი ლარით, მომსახურება კულტურის სფეროში – 12,3 ათ. ლარით.

- განათლების დაფინანსება გაიზარდა - 426.4 ათასი ლარით, მათ შორის: სკოლამდელი აღზრდა - 425,6 ათ.ლარით; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 0.8 ათ.ლარით.(სტიპენდია ეტალონში გამარჯვებულს)

-სოციალური დაცვა შემცირდა 3,9 ათ.ლარით. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში – 3,9 ათ.ლარით.

2015 წელს მიმწოდებლებთან დადებულია 391 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და 10 ხელშეკრულება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებთან გამოყოფილი სუბსიდიის ოდენობის და შესაბამისი გადახდის წესის შესახებ.

გამოცხადდა 77 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, აქედან არ შედგა 15 ტენდერი, დამთავრდა უარყოფითი შედეგით 1 ტენდერი, გამოცხადდა 25 ელექტრონული ტენდერი, აქედან არ შედგა 1ტენდერი, 1 არის შეწყვეტილი. სულ გამოცხადებულია 102 ტენდერი. განხორციელდა:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქუჩის გარე განათების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა; საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა; სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა; ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთების შესყიდვა; საკანცელარიო ნივთების შესყიდვა; ტონერის კარტრიჯების შესყიდვა; სააღდგომო პასკის შესყიდვა; საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურებების შესყიდვა; გამგეობის ახალგაზრდული ღონისძიებების ჩასატარებლად ღონისძიებების ორგანიზების მომსახურების შესყიდვა; სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალების შესყიდვა; აუდიტორული მომსახურების შესყიდვა; კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარების შესყიდვა; სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ტონერის კარტრიჯების შეძენა; საბეჭდი ქაღალდი A4-ის შესყიდვა; გამოძიებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა; ქ. საგარეჯოში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე საახალწლო გაფორმება/დეკორაცია, ორნამენტული გარნიტურის, საკონცერტო სცენის მონტაჟის - დემონტაჟის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა; ინტერნეტ მომსახურების შესყიდვა; საახალწლო კონცერტის ორგანიზების მომსახურების შესყიდვა, ნარჩენებსა და ნაგავთან დაკავშირებული მომსახურებების შესყ-

*დასასრული მე-5 გვერდზე*

## ჩვენი მუნიციპალიტეტები

# ქალაქი საგარეჯო

ზღვის დონიდან – 750 მ.
კომლი – 4250
მოსახლეობა – 12266 კაცი
**მიწის საერთო ფართობი – 12763 ჰა**
**აქედან:**
კერძო – 5098 ჰა
მუნიციპალური – 701 ჰა
სახელმწიფო – 4729 ჰა
**სახნავი სულ – 4084 ჰა**
**აქედან**:
კერძო – 2400 ჰა
მუნიციპალური – 0
სახელმწიფო – 1684 ჰა
სათიბი სულ – 26 ჰა
კერძო – 0
მუნიციპალური – 0
სახელმწიფო – 26 ჰა
**საძოვარი სულ – 5399 ჰა**
**აქედან**:
კერძო: 300 ჰა
მუნიციპალური – 701 ჰა
სახელმწიფო – 4398 ჰა
**მრავალწლიანი ნარგავები სულ – 1017 ჰა**
**აქედან**:
კერძო -1017 ჰა
რქაწითელი – 440 ჰა
საფერავი – 110 ჰა

სასოფლო-სამეურნეო ბარათები გაწერილია 1365 ბენეფიციარზე.

ქალაქის სამოსახლო კარმიდამო ტერიტორიანად 92 ჰექტარზეა განაშენიანებული.

ქალაქში ცხოვრობენ ქართველები – 12210, დანარჩენი კი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები – სომხები, ბერძნები, რუსები, უკრაინელები არიან. სულ 10 ეროვნების.

ქალაქის ტერიტორიაზე გავრცელებული ტოპონიმები

**ნასოფლარი:**
სათივარა
ჟატი
მელიქაური
ტყე-ვაკე
სათონეები
**ადგილი**:
კოკონაური
კოსტაფე
პლატინა
მოსაცური
ხატიკაკლები
ნამძვლევები
აზარიანთ ნაწისქვილარი
ჯაბადრიანთ ნაწისქვილარი
ფოლადაანთ ნაწისქვილარი
მარიხაანთ ნაწისქვილარი
**მინდორი**:
საბერძნეთი
ნაომარი
ზვარი
გოლგოთები
სატაცურხევი
სააღალო
ფუტკრისხევი
ყაზახა
ყაზანიანი
წიტიან ხევი
ვაკე უბანი
ვაშლიანი
**გორა**:
ნაომარი გორა
შუაგორი
კოშკისგორა
წოპწოპინაგორა
ფანოზიანთ გორა
პეტრე-პავლეს გორა
მელიგორა
**მთა**:
ცივი
ელიას მთა
**კლდე**:
ბებერი კლდე
ლოლოს ტონები
**ტყე**:
სათავე
დათვის საცხვრე
სათონეები
**ჭალა**:
სახოხბოს ჭალა
ივრის ჭალა
**წყარო**:
პაპალას წყარო
მახიას წყარო
ლოდის წყარო
თუშის წყარო
**მდინარე**:
თვალთხევი
წიფლისხევი



ტიკიაურა
**ღელე**
ლეკიაური
**დასახლება**:
გალმაუბანი
ქერხელიანთ უბანი
ქვლივიძიანთუბანი
ფორესუბანი
ესაიანთუბანი
ილაურიანთუბანი
კუჭუანთუბანი
კოხტანთუბანი
დოდოს უბანი
სომხის უბანი
კოპრომაანთუბანი
ქურდიანთუბანი

### მცირე ისტორია

**სოფელი** თვალი და მისი მეზობელი სოფლები დავით გარეჯის სამონასტრო ფეოდალური სენიორიის (მამული) შექმნისთანავე დავით გარეჯის მონასტრებს გადაეცათ და სოფელ თვალს გიორგი-წმინდასთან „საგარეჯო" მამულად ჯერ თვალ-საგარეჯოდ მოიხსენიებდნენ და ბოლოს „თვალი" სულაც ჩამოაცილეს და დასახლების სახელწოდებად XVIII საუკუნიდან ხან „თვალ-საგარეჯოდ", ხანაც პირდაპირ „საგარეჯოდ" მოიხსენიებდნენ, სადაც განლაგებული იყო დავით გარეჯის მონასტრების მართვის – მოურავის ადმინისტრაცია. საგარეჯო ამავე დროს ქართლ-კახეთის ერთ-ერთი დიდი, სამეფო-სამმართველოს საგარეჯოს ადმინისტრაციული ცენტრი იყო 1811 წლამდე.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ და რუსული სამმართველო-ადმინისტრაციული მმართველობის შემოღების შემდეგ, საგარეჯო და მთლიანად გარე-კახეთი, ჯერ თელავის მაზრას, ხოლო შემდეგ 1829 წლიდან 1928 წლამდე საგარეჯო და მთელი გარე-კახეთი თბილისის მაზრის სართიჭალის საბოქაულოში შედიოდა.

1928 წელს შეიქმნა გარე კახეთის რაიონი, ცენტრით სოფელი საგარეჯოთი. 1954 წელს სოფელი საგარეჯო დაბად გადაკეთდა, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულებით დაბა საგარეჯო რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაიქმნა.

საგარეჯოს ქალაქად გარდაქმნის პირველი დღეებიდანვე მაშინდელი საბჭოთა-კომუნისტური ხელისუფლების უდიდესი დახმარებისა და ზრუნვის წყალობით, გრანდიოზული სამუშაოები განხორციელდა ქალაქ საგარეჯოს და საერთოდ გარე-კახეთის კულტურულ-ეკონომიკური აღმშენებლობისათვის.

1962-63 წლებში სწრაფი ტემპით დაიწყო საგარეჯოს განაპირას ორი უდიდესი ობიექტის – ქ. საგარეჯოს ავტოსაბურავების შემკეთებელი ქარხნისა და მთელ საქართველოში გრანდიოზული ქვემო სამგორის სარწყავი არხის მშენებლობა. ამ ორ მშენებლობაში მრავალი მილიონი მანეთი და უამრავი სამშენებლო საშუალებები იქნა დაბანდებული. აშენდა ქარხნის კორპუსი, საგარეჯოს რკინიგზის სადგურისა და მინდორ ნასადგომარის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა უამრავი დამხმარე ნაგებობა, მშენებლობებზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა დაბა, საცხოვრებელი სახლები და მშენებლობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რამაც საგარეჯოს მთლიანად შეუცვალა იერ-სახე – გაფართოვდა და მოასფალტდა ქალაქის ქუჩები, აშენდა საკონსერვო, ღვინის, რძის გადამამუშავებელი, მსუბუქი, ავტოსაბურავების, აგურისა და საშენ-მასალების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (სოფლ-ტექნიკის) სარემონტო ქარხნები და სხვა დამხმარე საწარმოები. სამშენებლო ბუმის ინდუსტრიამ მოიცვა მთელი საგარეჯო და რაიონის სოფლები. საგარეჯოში განლაგდა 4 სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაცია.

პარალელურად დაიწყო კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობანი, განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო გასული საუკუნის 60-70-იანი წლები, როცა უამრავი რამ აშენდა ქალაქ საგარეჯოში და რაიონის სოფლებში. ჩამოვთვლით მხოლოდ ზოგიერთებს: ქალაქ საგარეჯოში აშენდა № 2 საშუალო (1962 წელი), №3 საშუალო (1973 წ.), ქალაქის №4 საშუალო (1978 წ.) სკოლების, საგარეჯოს ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის (1962 წ.) პროფტექნიკური სასწავლებლის სასწავლო (1980-იანი წლები) და საცხოვრებელი კორპუსები, სპორტული ბაზა, სტადიონი და საჭიდაო დარბაზი (1970-1980წწ), №1 და №3 ბაგა-ბაღები (1962-1973 წწ).

დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა ქალაქისა და სოფლების გაზიფიცირებისათვის. ქალაქის მშვენებად იქცა კულტურის სახლისა და სახალხო თეატრის, კინოთეატრის შენობები (1970-80-იანი წლები). საგარეჯოში აშენდა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ქვემო სამგორის სარწყავი არხის მშენებლობას, რომელიც ძირითადად 1970-იან წლებში დასრულდა, მისმა მარჯვენა და მარცხენა მაგისტრალურმა არხებმა თავისი სატუმბო სადგურებით მორწყა ათეულობით ათასი ჰექტარი მიწა. წალკოტად აქცია ქ. საგარეჯოს მინდვრები და მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები. მინდვრად ქარსაცავმა ზოლებმა და ბაღ-ვენახებმა იერ-სახე შეუცვალა გარე-კახეთის ლანდშაფტს. მთლიანად შეიცვალა ქ. საგარეჯოსა და მისი სოფლების მოსახლეობის ცხოვრების პირობები. ხალხი პრიმიტიული კარჩაკეტილი ცხოვრებიდან გამოვიდა და ქალაქური ცხოვრებით იწყო ცხოვრება. მთლიანად შეიცვალა მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. კინომ, თეატრმა, რადიომ და ტელევიზიამ მთლიანად შეცვალა მოსახლეობის ცხოვრების წესი. აგრარულ სექტორში მომუშავე გლეხი უკვე გახდა ცივილიზებული, მაღალგანვითარებული მუშა-მწარმოებელი.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ მეთოდებზე გადაყვანამ, მტანჯველი ხელით შრომა შეცვალა ინდუსტრიულ-მანქანურმა შრომამ. ადამიანები გამოვიდნენ კარჩაკეტილი ცხოვრებიდან და ეზიარნენ სასოფლო-სამეურნეო შრომის მეცნიერულ მეთოდებს.

### სოფლის მეურნეობა



**ქალაქის** სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მეცხოველეობა, მევენახეობა, მარცვლეულის წარმოება.

გასულ წელს საგარეჯოელმა მევენახეებმა ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ პირველად ქარხნებს 153 ტონა რქაწითელი და 841 ტონა საფერავი მიჰყიდეს. მოიწიეს მარცვლოვანი კულტურების უხვი მოსავალი – ხორბალი 1170 ტონა, ქერი – 2202 ტონა, სიმინდი – 22058 ტონა.

მიმდინარე წლის მემინდვრე ფერმერები მარცვლეულის უხვ მოსავალს ელიან. ხორბალი დათესილია – 5430 ჰა-ზე, ქერი – 1800 ჰა-ზე,.

საგარეჯოს ტერიტორიაზე მოქმედებს საგარეჯოს ღვინის ქარხანა, საგარეჯოს საექსპორტო და სამარკო ღვინოების ჩამოსასხმელი ქარხანა "სამება", შპს "საამოს" საგარეჯოს პირველადი ღვინის ქარხანა, შპს "საამოს" საგარეჯოს ჩამოსასხმელი ღვინის ქარხანა, შპს "გილენი" (შერეული ტიპის), შპს "ზატონო" (შერეული ტიპის).

საგარეჯოს ტერიტორიაზე, ივრის მარცხენა სანაპიროზეა განთავსებული თევზის ორი ტბორი. სულ ახლახანს დაიწყო ფუნქციონირება სასათბურე მეურნეობამ, რომელიც მარწყვით ამარაგებს ქალაქის სავაჭრო ობიექტებს.

საგარეჯოელი მოსახლეობის ერთი ნაწილი დაინტერესდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნით და დღესდღეობით ქალაქში ოთხი კოოპერატივი მოქმედებს: ორი მეფუტკრეობის , ერთი – თევზის ტბორი, ერთი – მრავალპროფილ-



იანი – მეცხოველეობა – მემინდვრეობა და ოთხი – პირუტყვის საკვებგადამამუშავებელი მინი წისქვილი. ასევე, ფუნქციონირებს 16 მეცხოველეობის ფერმა და ერთი მეფრინველეობის ფერმა.

**ინფრასტრუქტურა**

ქალაქში 62 ქუჩაა, მათგან 50 % მოასფალტებულია

გასულ წელს მოასფალტდა ერეკლე მეორის ქუჩა (სიგრძე 2,2 კმ) ტროტუარებით, თამარ მეფის ქუჩა (სიგრძე 0,51 კმ)

**ქალაქის ყველაზე დიდი ქუჩებია:**
რუსთაველის ქუჩა – 2,300 კმ.
ერეკლე მეორის ქუჩა – 2,200 კმ
ჭავჭავაძის ქუჩა – 970 მ.

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ჩვენი მუნიციპალიტეტები

# ქალაქი საგარეჯო

## გაგრძელება

თბილისის ქუჩა – 680 მ.

საცხოვრებელი კორპუსი – 46

**მიმდინარე** წელს ასფალტის საფარით დაიფარება და მოეწყობა მასზე სანიაღვრე არხები ქალაქის მთელ რიგ შემდეგ ქუჩებზე:



**წერეთლის ქუჩა**, რომლის სიგრძე 780 მეტრია, საამისოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 250 ათასი ლარია გამოყოფილი.

**ქურდიანის ქუჩა,** აქ 190 მეტრზე მოსაწყობია სანიაღვრე არხიც, ქუჩის რეკონსტრუქციისთვის 100 000 ლარია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი.

**ქეთევან წამებულის ქუჩა,** აქ 860 მეტრზე მოსფალტებასთან ერთად მოეწყობა სანიაღვრე არხიც, რაზედაც 350 ათასი ლარი გაიხარჯება.

**ჯანგულაშვილის ქუჩა** – 670 მეტრი სიგრძის ქუჩაზე ასფალტის საფარით მოწესრიგებასთან ერთად სანიაღვრე არხიც გაკეთდება, რაზედაც 180 ათასი ლარი გაიხარჯება.

ქალაქში არსებულ **ცენტრალურ სტადიონს** ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია,



მოეწყობა - მინდვრის ახალი საფარი, გასახდელი, აუზი, მაყურებელთა სკამები. სტადიონი ათეული წლებია ამორტიზირებულია, სადაც ვარჯიშის დროს საგარეჯოელ ფეხბურთელებს ტრავმების საშიშროებაც თან სდევთ. სტადიონის რეაბილიტაციას მთლიანად 120 000 ლარი მოხმარდება.

**თამარ მეფის ქუჩაზე** გათვალისწინებულია სკვერის და ლიტერატურული კაფეს მოწყობა, რაზედაც სახელმწიფო ბიუჯეტი 150 ათას ლარს გაიღებს.

ამავე, **თამარ მეფის ქუჩაზე**, სკვერის და ტროტუარების მოსაწყობად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 350 ათასი ლარი გაიხარჯება.

ქალაქში არსებული მდინარე **წიფლისხევის** კალაპოტის გასაწმენდად 1 მილიონი ლარია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებული, ხოლო **მდინარე თვალთხევის კალაპოტისთვის** – ერთი მილიონ 250 ათასი ლარი.

2016 წელს უახლეს ხანში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული მთელი რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდება. ასე, მაგალითად:

**საგარეჯოში, ერეკლე მეორეს ქუჩაზე მოხდება სასმელი წყლის ჭაბურღილის დაზიანებული ტუმბოს აღდგენა** (9136 ლარის სამუშაოები)...

ქალაქის **№2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების** ეზოში დაზიანებული საკანალიზაციო ქსელის გაწმენდისთვის დაქირავებულ იქნება ავტომობილი (412 ლარი).

ქალაქ საგარეჯოში, **ლეონიძის ქ. №39-ში** მდებარე სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი ბინის გადახურვისათვის შეძენილ იქნება 3800 ლარის მასალა.

ე.წ. **"ბუსარიშვილების"** სასმელი წყლის დაზიანებული ჭაბურღილის შეძენა-დამონტაჟებისათვის გაიხარჯა 5690 ლარი.

**ქალაქის №3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების** შენობის შეკეთებაზე გაიხარჯება 70 085 ლარი.

**კოსტავას ქუჩის** ბოლოში მოეწყობა სანიაღვრე არხების ცხაური (959 ლარი).

**კოსტავას ქუჩა №14 და №16** საცხოვრებელი კორპუსებისათვის მოეწყობა სასმელი წყლის ლითონის რეზერვუარები და სატუმბი სადგური (23749 ლარი).

**ქუჩების გარე განათებაზე** გაიხარჯება 74340 ლარი

კვლავ იმოძრავებს **უდაბნო – საგარეჯო** მარშრუტზე სამარშრუტო ტაქსი მთელი წლის განმავლობაში (8000 ლარი).

ქალაქის **ქუჩების დასასუფთავებლად** და სანიაღვრე არხების გასაწმენდად გაიხარჯება 112100 ლარი.



**2016 წლის პირველ კვარტალში** მოხდა რუსთაველის, კახეთის, იმედის, ჯაფარიძის, ლეონიძის, დ. აღმაშენებლის, თამარ მეფის, გულისაშვილის, გამარჯვების, თბილისის, მამისაშვილის, ფერდოსუბნის ქუჩების ორმოული დამუშავება, რაზედაც 17582 ლარი გაიხარჯა.

მოეწყო ჭაბურღილები კოსტავას და ქეთევან წამებულის ქუჩებზე.

2015 წელს შესრულდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სამუშაოები

1. ქ. საგარეჯოს კახეთის გზატკეცილი №7-ში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წყლის ჭაბურღილისთვის სამონტაჟო სამუშაოები (საერთო ღირებულება – 2885 ლარი).

2. ქ. საგარეჯოში კოსტავას ქუჩაზე მდებარე №14 და №16 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილისათვის 1 ცალი ჩაყვინთული ტუმბოს შეძენა (საერთო ღირებულება - 4442 ლარი)

3. ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი №17 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებული დაზიანებული სასმელი წყლის ტუმბოს დემონტაჟი - მონტაჟის სამუშაოები ( საერთო ღირებულება – 600 ლარი)

4. ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე №9, №11, №13, №15, №20 ჭაბურღილის გაწმენდა (საერთო ღირებულება – 4696.3 ლარი)

5. ქ. საგარეჯოში კახეთის ქუჩაზე №40 ჭაბურღილის გაწმენდა (საერთო ღირებულება – 4996.3 ლარ)

6. ქ. საგარეჯოში, რუსთაველის, ბაუჯა ქვლივიძის და ერისთავის ქუჩაზე სასმელი წყლის 300 გრძ/მ 50 მმ-იანი მილის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვა (საერთო ღირებულება – 600 ლარი)

7. ქ. საგარეჯოში კოსტავას ქუჩა №20-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილისათვის ახალი ტუმბოს შეძენა-მონტაჟი (საერთო ღირებულება - 1925 ლარი)

8. ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი №7-ში იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის სასმელი წყლის ჭაბურღილის ტუმბოს შეძენა (საერთო ღირებულება – 2785 ლარი)

9. ქ. საგარეჯოს კოსტავას ქუჩის დაზიანებული სასმელი წყლის ამქაჩი მრავალსაფეხუროვანი ცენტრ-ტუმბოს 1.5 კვ. შეძენისა და ჭაბურღილის ტუმბოს მონტაჟი ( საერთო ღირებულება – 1330 ლარი)

10. ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე №9 №11 №13 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლთან არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილისათვის ტუმბოს შეძენა – მონტაჟი (საერთო ღირებულება – 4110 ლარი)

11. ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე ე.წ. "ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯის" მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის წყლის შეუფერხებლად მისაწოდებლად დაზიანებული წყლის ჭაბურღილის ტუმბოს შეძენა – მონტაჟი (საერთო ღირებულება – 12000 ლარი)

12. ქ. საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილზე ე.წ. ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის წყლის მისაწოდებლად მიმდებარედ არსებული დაზიანებული სასმელი წყლის ჭაბურღილის ამორეცხვითი სამუშაოების შესრულება ( საერთო ღირებულება – 4909 ლარი)

13. ქ. საგარეჯოში №6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კანალიზაციის გაწმენდა – რეაბილიტაცია.

14. ქ. საგარეჯოში, ქეთევან წამებულის ქუჩის მიმდებარედ არსებული დაზიანებული სასმელი წყლის ჭაბურღილის ამორეცხვითი სამუშაოები.

15. ქ. საგარეჯოს მამისაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.

16. ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე მდებარე №10ა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის გადახურვის მოწყობის სამუშაოები.

17. ქ. საგარეჯოში ყოფილი პოლიტექნიკური სასწავლებლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

18. ქ. საგარეჯოს კოსტავას ქ. №12 და №14 მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლებს შორის სკვერის მოწყობა.

19. ქ. საგარეჯოში 1) ქეთევან წამებულის ქუჩის მოასფალტების, 2) გ. ქურდიანის ქუჩის მოასფალტების, 3) წერეთლის ქუჩის მოასფალტების, 4) ჯანგულაშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები.

20. ქ. საგარეჯოში №3-ე საბავშვო ბაღის შენობის შეკეთება

21. ქ. საგარეჯოში დოდაშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოების პროექტი.

22. ქ. საგარეჯოში მდინარე თვალთხევის ნაპირთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავაჭრო ობიექტის მშენებლობის პროექტის შედგენა.

23. ქ. საგარეჯოში კოსტავას ქუჩაზე ლითონის ცხაურის მოწყობა.

24. ქ. საგარეჯოში კოსტავას ქუჩაზე №14 და №16 კორპუსებთან სასმელი წყლის ლითონის რეზერვუარის მოწყობა.

25. ქ. საგარეჯოს ერეკლე II – ის ქუჩის ასფალტის საფარისა და ტროტუარის მოწყობის სამუშაოები.

## სკოლამდელი აღზრდა

**ქალაქ საგარეჯოში** ფუნქციონირებს 6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.

**საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების** (მენეჯერი თამარ ლაფერიშვილი) 210 აღსაზრდელს 8 აღმზრდელი,



8 აღმზრდელის თანაშემწე, ორი ლოგოპედი, ორი აღმზრდელ-ფსიქოლოგი, ერთი – მეთოდისტი, 3 მზარეული, ორი – მუსიკის მასწავლებელი, ერთი – მედდა, ერთი – მზარეულის თანაშემწე, ორი – დამლაგებელი, ერთი – ცეცხლფარეში, ორი – დარაჯი ემსახურება.

**ქალაქის მეორე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში** (მენეჯერი მზია ბექიტაშვილი) 150 აღსაზრდელია. მათ სწავ-



ლა-აღზრდის საქმეს შვიდი აღმზრდელი, ამდენივე აღმზრდელის თანაშემწე, ორი – აღმზრდელი-ლოგოპედი, ორი აღმზრდელი-ფსიქოლოგი, ორი – მუსიკის მასწავლებელი, ერთი – მეთოდისტი, ერთი – მედდა, ორი – მზარეული, ერთი – მზარეულის თანაშემწე, ერთი – ცეცხლფარეში, ორი – დარაჯი და ინგლისურის და ცეკვის მასწავლებლები (ხელშეკრულებით) ემსახურება.

**ქალაქის №3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების** (მენეჯერი ნანა სულიკაშვილი) 50 აღსაზრდელს სამი - აღმზრდე-



ლი, სამი - აღმზრდელის თანაშემწე, ერთი – აღმზრდელ-ლოგოპედი, ერთი – აღმზრდელ-ფსიქოლოგი, ერთი – მუსიკის მასწავლებელი, ერთი – მედდა, ერთი – მზარეული, ერთი – დამლაგებელი და ერთი – დარაჯი ემსახურება. მიმდინარე წელს აღნიშნულ დაწესებულებას ჩაუტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები და საამისოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 85 ათასი ლარი გაიხარჯება.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

### საკრებულოს სხდომაზე განიხილეს

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი

**დასასრული**

იდვა; ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა; ქუჩის გარე განათების მომსახურების შესყიდვა.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" დაფინანსებული პროექტების სამუშაოების შესყიდვა, რომელთა ღირებულება არ აღემატებოდა 50000 ლარს, გამ. ელ.ტენდერით განხორციელდა სამი ობიექტის სამუშაოების შესყიდვა. მიმწოდებლებთან დადებულია 35 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 951,6 ათ.ლარზე. შესრულებამ შეადგინა 797.1ათ.ლარი.

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის შემოსავლები 2015 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 102 %-ით***, 2015 წლის დაზუსტებული გეგმიური 10 969,2 ათასი ლარის ნაცვლად, შემოსავალმა შეადგინა 11166,2 ათასი ლარი. მათ შორის:

1. საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახდის გეგმა შესრულდა 268 %-ით (დაზუსტებული გეგმა 100,0 ათასი ლარი; შესრულება 267,9 ათასი ლარი);

2. ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადის - 42 % ( გეგმა 30,0 ათასი ლარი, შესრულება 12,5 ათასი ლარი)

3. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 96 % (გეგმა 1670,0 ათასი ლარი, შესრულება 1609,5 ათასი ლარი);

4. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 564 % (გეგმა 100 ათასი ლარი, შესრულება 564,1 ათასი ლარი);

5. პროცენტებიდან შემოსავალი - 118 %-ით (გეგმა 77,0 ათასი ლარი, შესრულება 91,0 ათასი ლარი);

6. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 86 % (გეგმა 635,0 ათასი ლარი, შესრულება 546,3 ათასი ლარი);

7. შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 476 %-ით (გეგმა 2,0 ათასი ლარი, შესრულება 9,5 ათასი ლარი);

8. მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 48 % ( გეგმა 28,0 ათასი ლარი, შესრულება 13,6 ათასი ლარი);

9. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 65% (გეგმა 4,0 ათ.ლარი,შესრულება 2,6 ათ.ლარი)

10. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 100 % (გეგმა 40,0 ათასი ლარი, შესრულება 40,0 ათასი ლარი)

11. ჯარიმები, სანქციები, საურავები 95 % (გეგმა 758,0 ათასი ლარი, შესრულება 719,7 ათასი ლარი);

12. ძირითადი აქტივები 20 %-ით(გეგმა 52,0 ათ. ლარი, შესრულება 10,5 ათ.ლარი);

13. არაწარმოებული აქტივების (მიწის ) გაყიდვიდან 115 % (გეგმა 160,0 ათასი ლარი, შესრულება 184,1 ათასი ლარი);

2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია ტრანსფერი 7082,5 ათასი ლარის ოდენობით, გეგმიური 7304,7 ათასი ლარის 97 %, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 3602,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 210,0 ათასი ლარი, ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების გეგმა შესრულდა 94 %–ით (გეგმა 3492,7ათ. ლარი, შესრულება 3270,5ათ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის გადასახდელების გეგმა შესრულდა 87 %-ით (გეგმა 12 361,8 ათასი ლარი, შესრულება 10794,1 ათასი ლარი).

(მთავრობის 2015 წლის №506 განკარგულების ფარგლებში ექსპერტიზაზე იქნა გაგზავნილი 8 ობიექტი, რომელთა ანაზღაურება მოხდა 2016წელს, სამუშაოები მიმდინარეობდა და ანაზღაურება მოხდა მ/წლის პირველ კვარტალში 4 ობიექტზე. მთავრობის 2015წლის №39 განკარგულების ფარგლებში სამუშაოები მიმდინარეობდა 2 ობიექტზე და სოფელ ხაშმის სათავე-ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელის რეაბილიტაციის დაფინანსება მოხდა 10 ნოემბერს, ხელშეკრულება დაიდო 30 დეკემბერს. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში 2015წელს ნოემბერ-დეკემბერში გაცემული საგარანტიო წერილების შესრულებული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება მოხდა 2016წლის იანვარ-თებერვალში წარმოდგენილი შესრულებით. მეოთხე კვარტალში გამოცხადებული იქნა 2016 წელს განსახორციელებელი პროექტების ხარჯთაღრიცხვების და პროექტების შედგენის ტენდერები, რომლებშიც ვაჭრობის დროს მომსახურების ღირებულებებს თანხის ნახევარი დააკლდა, მიღებულია ეკონომია. ასევე მიღებულია ეკონომია საკანცელარიო ნივთების, კატრიჯების და კომპიუტერული ტექნიკის, ინტერნეტით მომსახურების ტენდერებიდან, კავშირგაბმულობის კუთხით კორპორატიულ ტელეფონებზე ანაზღაურება ხდება ფაქტიურად გახარჯული თანხის მიხედვით, გეგმაში კი სასაუბრო ბარათი გათვალისწინებულია ბრძანების მიხედვით, კავშირგაბმულობის მომსახურებიდან მიღებულია ეკონომია 20000ლარამდე, )

***ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ასეთია:***

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობის დაფინანსება შესრულდა 92 % ( გეგმა 2257,4 ათასი ლარი, შესრულება 2079,6 ათასი ლარი);

1. თავდაცვა -88 % (გეგმა 112,0 ათასი ლარი, შესრულება 98,2 ათასი ლარი);

2. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 100 % ( გეგმა 273,0 ათასი ლარი, შესრულება 273,0 ათასი ლარი);

3. ეკონომიკური საქმიანობა 81 % (გეგმა 2247,8 ათასი ლარი, შესრულება 1827,7ათასი ლარი);

4. გარემოს დაცვა – 82 % (გეგმა 775,1 ათასი ლარი, შესრულება 638,0 ათასი ლარი); (სანიაღვრე არხები,დასუფთავრება)

5. საბინაო-კომუნალური მეურნეობა -75 % (გეგმა 2535,9 ათასი ლარი, შესრულება 1910,6 ათასი ლარი); (წყალი გარე განათება,სკვერები)

6. ჯანმრთელობის დაცვა - 95 % (გეგმა 114,4 ათასი ლარი, შესრულება 109,1 ათასი ლარი);(ტრანსპორტის შეძენა)

7. დასვენება, კულტურა, რელიგია - 97 % (გეგმა 1217,3 ათასი ლარი, შესრულება 1175,3 ათასი ლარი);

8. განათლება - 97 % (გეგმა 2131,1ათასი ლარი, შესრულება 2068,0 ათასი ლარი);

9. სოციალური დაცვა - 94 % (გეგმა 693,8 ათასი ლარი, შესრულება 654,6 ათასი ლარი);

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:***

1. შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1616,7 ათასი ლარი, გეგმიური 1644,6 ათასი ლარის 98%.

2. საქონელი და მომსახურეობა 1312,5 ათ.ლარი, გეგმიური 1569,8 ათ.ლარის – 84%.

3. პროცენტები 4,3 ათ.ლარი, გეგმიური 4,3 ათ.ლარი – 100 %.

4. სუბსიდიები 3099,6 ათ.ლარი, გეგმიური 3121,1 ათ.ლარის – 99 %.

5. გრანტები 267,4 ათ.ლარი, გეგმიური 267,4 ათ.ლარის – 100 %.

6. სოციალური უზრუნველყოფა 339,1 ათ.ლარი 368,7 ათ.ლარის – 92%.

7. სხვა ხარჯები 217,7 ათ.ლარი, გეგმიური 233,0 ათ.ლარის – 93%.

8. არაფინანსური აქტივების ზრდა 3739,7 ათ.ლარი, გეგმიური 4945,8 ათ.ლარის – 76 %.

9. ვალდებულებების კლება 197.1 ათასი ლარი, გეგმიური 207,2 ათასი ლარის – 95 %;

საანგარიშო პერიოდში სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია 30,5 ათასი ლარი: სოფელ მანავში არსებული ეგრეთწოდებული „ბაძაანთ" ხევის ნატანებისაგან გაწმენდა 2,8 ათ.ლარი; სააღსრულებლო ფურცლის უზრუნველსაყოფად (მოსარჩელე ილია კუჭუაშვილის, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება)18,9 ათ.ლარი; სოფ.თოხლიაურში მცხოვრებ არკადი ფოხცვერაშვილის საცხოვრებელი სახლის სახურავის შესაკეთებლად 0,2 ლარი. ქვემო სამგორის დასახლებაში მცხოვრები ზურაბ კახნაძის საცხოვრებელი სახლის სახურავის შესაკეთებლად 7,2 ათ.ლარი; სოფ.გიორგიწმინდაში მცხოვრები მალხაზ ქვრივიშვილის საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის შესაკეთებლად 0,4 ლარი. ქ.საგარეჯო ერეკლე მეორის ქუჩის 224-ში მცხოვრები ელიკო ქურხულის საცხოვრებელი სახლის სახურავის შესაკეთებლად 1,2 ათასი ლარი.

---

### რა ითქვა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

# პროექტების დაფინანსება გაიზარდა





– **საქართველოს** მთავრობის 2016წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით 2016 წელს „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 1082163 ათასი ლარი, რის გამოც ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:***

1) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 162133 ლარი;

2) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა–შენახვის ხარჯებს დაემატა 356586 ლარი;

3) გარე განათების მოწყობის ხარჯებს დაემატა 170044 ლარი;

4) კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების ხარჯებს დაემატა113266 ლარი;

5) სანიაღვრე არხების აღდგენის ხარჯებს დაემატა 97030 ლარი;

6) სკვერების, ბაღების მოვლა–შენახვა და ექსპლოატაციას დაემატა 5309 ლარი.

7) სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 145488 ლარი;

8) განათლების ხარჯები გაიზარდა 8618 ლარით;

9) სპორტული მოედნების მოწყობა–რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 23689 ლარი;

***ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით*** კი (გასული წლის ნაშთიდან) ***დაფინანსდა***:

1) საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის საწევრო – 2640 ლარი;

2) სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე გადასაცემი 110 კუბ.მეტრი შეშის ტყიდან ტრანსპორტირება – 7500 ლარი;

3) ა(ა)იპ №105 სპორტსკოლის არაფინანსური აქტივების ზრდა – 5000 ლარი (წყლის საქაჩი ტუმბოს შესაძენად 1000 ლარი და საცურაო აუზის შეკეთება-შეღებვის სამუშაოებისთვის 4000 ლარი);

4) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის კომპიუტერების (4 ცალი) შეძენა – 4520 ლარი;

5) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის კომპიუტერების (4 ცალი) შეძენა – 4520 ლარი;

რაც შეეხება სარეზერვო ფონდის ხარჯვას: 19763 ლარი გამოიყო მიმდინარე წლის 18 თებერვალს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების შესაკეთებლად მასალების შეძენის და შეკეთების სამუშაოების დასაფინანსებლად (დავით როსტიაშვილის, ზაზა ქისტაურის, თეიმურაზ გოგოლაურის, იაგო კევლიშვილის, მანანა მჭედლიშვილის და დავით სარკიაშვილის საცხოვრებელი სახლები). 5000 ლარით დაფინანსდა მიმდინარე წლის 16 მარტს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული სოფელ მანავში მდებარე მრავალბინიანი საერთო საცხოვრებლის ორი კორპუსის სახურავის შეკეთებისთვის მასალების შეძენა. ამავე თანხით გასული წლის ნაშთიდან მოხდება სარეზერვო ფონდის შევსება. შესაბამისად 24763 ლარით გაიზარდა კეთილმოწყობის ხარჯები.

სულ წინა წლის ნაშთიდან განაწილდა 48943 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №107 დადგენილების საფუძველზე მოხდა ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" სუბსიდიიდან (საფეხბურთო კლუბის დაფინანსებიდან) 35324 ლარის მოხსნა და გრანტების მუხლში გადატანა ფეხბურთის განვითარების ფონდში გადასარიცხად.

## სააღდგომო ნობათები ბენეფიციარებს

# ,,...ჩვენი დახმარება და გვერდში დგომა სჭირდებათ“...



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი, გამგებლის მოადგილე დავით ივანიშვილი და გამგეობის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბენეფიციარებს ესტუმრნენ, მოახლოებული აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს და სააღდგომო ნობათი პირადად გადასცეს. ადგილობრივი ხელისუფლებისგან საჩუქარი მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 500-მა ბენეფიციარმა მიიღო. ,,მინდა მოგილოცოთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა გისურვოთ. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა იმ მოქალაქეს, რომელთაც ჩვენი დახმარება და გვერდში დგომა სჭირდება ყურადღება არ მოვაკლოთ.გვინდა, რომ ჩვენს მოსახლეობას მცირედით მაინც დავეხმაროთ და შევუმსუბუქოთ ყოფა“– განაცხადა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა. ბენეფიციარებმა გიორგი გზირიშვილს და დავით ივანიშვილს მადლობა გადაუხადეს ნობათის, ზრუნვისა და მხარდაჭერისთვის და დამდეგი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს. ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა მადლობას უხდის პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორს ოთარ მუჩიაშვილს,*** რომელმაც სოციალურად გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად გამგეობას 5000 კვერცხი გადასცა.

*ვანიკა ჯავახიშვილი*



## ინფრასტრუქტურა-2016

# ,,პროგრამა სოფლის პრობლემებს გადაჭრის“

<u>დასასრული</u>

მორჩენილი თანხებიც დაემატა და 101 ათასი ლარი ცოტა არ არის სხვადასხვა პრობლემების მოსაგვარებლად. სოფლებში ჩატარდა სასოფლო კრებები, გამგებლის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოადგინეს კრების ოქმები და ამ ოქმების მიხედვით თითქმის ყველა სოფელში მართლაც მიზანმიმართული სამუშაოები ჩატარდება, რომლებიც ასე წარმოგვიდგება.

**გომბორი** – 9527 ლარი – სარიტუალო დარბაზის რემონტი

**უჯარმა** – 8000 ლარი – სარიტუალო ინვენტარის შეძენა; 784 ლარი – ამბულატორიის საპირფარეშოსთვის საშენი მასალის შეძენა

**პალდო** – 1097 ლარი – ეკლიანი მავთულის შეძენა

**სასადილო** – 2464,52 ლარი – სარწყავი არხის სისტემის რეაბილიტაცია

**ხაშმი** – 1920 ლარი – კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია

**ხაშმი** – 4355 ლარი – სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია

**ხაშმი –** 1920 ლარი – სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია

**პატარძეული** – 182 ლარი – სასმელი წყლისთვის პოლიეთილენის მილის და ონკანების შეძენა

**ნინოწმინდა** – 2500 ლარი – სოფლის სტადიონის შემოღობვა

**წყაროსთავი** – 335 ლარი – 150 მ.სასმელი წყლის 40მმ-იანი მილის შეძენა

**გიორგიწმინდა** – 1363 ლარი – “ნავრობის ხევის” სათავენაგებობის შემოღობვა

**თოხლიაური** – 1837 ლარი – სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე დაწყებული გარე განათების დასრულება

**სათაფლე** – 736,15 ლარი – პოლიეთილენის მილის შეძენა

**მანავი** – 2443,85 ლარი – სარწყავი არხის კიუვეტით მოწყობა

**მანავი** – 6189,39 ლარი – სასაფლაოს შემოღობვა

**დიდი ჩაილური** – 1511,85 ლარი – საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა

**პატარა ჩაილური** – 197 ლარი – ე.წ. ,,ყველიერის“ ადგილის შემოღობვა

**პატარა ჩაილური** – 4423 ლარი – ასანიაანთ წყლის რეაბილიტაცია

**კაკაბეთი** – 11048 ლარი – სავარგულებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

**ვერხვიანი** – 541 ლარი – სასმელი წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია

**ყანდაურა** – 849 ლარი – საუბნო წყლის რეაბილიტაცია



**ბადიაური** – 561 ლარი – სასოფლო კლუბისთვის საპირფარეშოს მოწყობა

**მზისგული** – 1933,97 ლარი – სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია

**შიბლიანი** – 5498 ლარი – სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია

**იორმუღანლო** – 1019 ლარი – სოფელში ე.წ. სოკარის წყლის გაყვანა შლანგით

**ქეშალო** – 16062 ლარი – გარე განათების მოწყობა

**კაზლარი** – 4861 ლარი – მოსაცდელის მოწყობა

მალე დამთავრდება ყველა პროექტის პროექტირება და სამუშაოებიც ფართო სპექტრით გაიშლება. ვიმედოვნებთ, რომ ამ თანხით სოფლებში მთელი რიგი პრობლემების მოხსნა შეიძლება.













„არსკულა-ვური ომების“ გენერალი
გაუმაძ-ღარი
მოსაპირ-კეთებე-ლი ქვა
ქალის სახელი
ფეხქვეშ გასა-ფენი
ქვეყანა ამერი-კაში
ადგილი სახლის გვერდით
კვარ-ტალი
სორო
კედლის ნათურა
ჩაძირული გემი
ყველაზე დიდი კუნძული
ქართველთა განმანათლე-ბელი
... რურკი
მესის სამშობ-ლო
ბაირაღი
მაჩვზ-ღარბა
ტრაბახი




ხე
გამსახ-ურდიას ჩამომგდები
„მურტა-ლი ნათე-სავი“
... იორკი
ვენახის მცენარე
... საოცრე-ბათა ქვეყანაში
ფერი
მტაცე-ბელი
ომახი-ანად
პლანეტა
კანადელი სუპერ-მოდელი
პატარა ცხენი
პროლე-ტარიატის ბელადი
ხილი
ტყის მხალი
სტალ-ონეს სახელი
ეპოქა
კომში
დიდი ბრ-ძოლა
ა
ტაროსი
ბრეგაძე შერეკილე-ბიდან
მარკეტი
... პალი-ტრა
პირველი ადამიანი
ცეცხ-ლის „ენა“
ყვავილი
შუშა
ადამიანი ღამურა
პარტია საქართ-ველოში
... დე ფიუნესი



# სუდოკუ

## მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 4 | | 9 | 2 | 5 | |
| | 8 | 3 | | | 1 | | 4 | |
| 4 | | | | | 7 | 9 | 8 | |
| 3 | 1 | 7 | 9 | | | | | |
| 8 | | | | 7 | | | | 4 |
| | | | | | 3 | 5 | 7 | 9 |
| | 4 | 9 | 7 | | | | | 2 |
| | 2 | | 1 | | | 4 | 3 | |
| | 3 | 1 | 6 | | 2 | | | |

## საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | | | 6 | | 7 |
| 8 | 6 | | | 3 | | 1 | | |
| | | 2 | 1 | | 8 | 3 | | |
| | 4 | | | | 2 | | 3 | 9 |
| 2 | | | | 4 | | | | 6 |
| 3 | 1 | | 8 | | | | 2 | |
| | | 5 | 2 | | 1 | 4 | | |
| | | 1 | | 8 | | | 7 | 3 |
| 7 | | 4 | | | | | 5 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 4 | | | | 2 | | 8 |
| 2 | 9 | | | 7 | | | | |
| | | | 4 | | 2 | 9 | 1 | |
| | | | | 8 | 3 | 5 | | |
| 8 | | | | | | | | 7 |
| | | 9 | 1 | 5 | | | | |
| | 4 | 8 | 5 | | 6 | | | |
| | | | | 1 | | | 4 | 6 |
| 1 | | 6 | | | | 3 | 5 | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 9 | 7 | 8 | 6 | 1 | 2 | 4 |
| 8 | 7 | 6 | 1 | 4 | 2 | 3 | 9 | 5 |
| 2 | 4 | 1 | 5 | 3 | 9 | 6 | 7 | 8 |
| 9 | 6 | 4 | 3 | 2 | 7 | 8 | 5 | 1 |
| 5 | 1 | 2 | 4 | 6 | 8 | 9 | 3 | 7 |
| 7 | 8 | 3 | 9 | 5 | 1 | 2 | 4 | 6 |
| 1 | 2 | 5 | 8 | 9 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 6 | 3 | 7 | 2 | 1 | 5 | 4 | 8 | 9 |
| 4 | 9 | 8 | 6 | 7 | 3 | 5 | 1 | 2 |

„ბარეჯის მაცნე“
№7-ში
გამოქვეყნებული
სუდოკუს
პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 2 | 6 | 1 | 7 | 5 | 8 | 9 | 3 |
| 9 | 8 | 5 | 3 | 6 | 4 | 1 | 2 | 7 |
| 7 | 3 | 1 | 9 | 8 | 2 | 4 | 5 | 6 |
| 3 | 4 | 8 | 7 | 2 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 6 | 9 | 7 | 8 | 5 | 3 | 2 | 4 | 1 |
| 1 | 5 | 2 | 4 | 9 | 6 | 7 | 3 | 8 |
| 2 | 1 | 4 | 5 | 3 | 7 | 6 | 8 | 9 |
| 9 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 | 5 | 7 | 4 |
| 5 | 7 | 9 | 6 | 4 | 8 | 3 | 1 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 8 | 4 | 9 | 3 | 2 | 6 | 5 |
| 5 | 3 | 6 | 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 4 |
| 4 | 9 | 2 | 6 | 8 | 5 | 3 | 1 | 7 |
| 8 | 6 | 1 | 9 | 3 | 4 | 5 | 7 | 2 |
| 7 | 2 | 4 | 1 | 5 | 6 | 8 | 3 | 9 |
| 9 | 5 | 3 | 8 | 7 | 2 | 6 | 4 | 1 |
| 2 | 8 | 5 | 3 | 4 | 1 | 7 | 9 | 6 |
| 6 | 4 | 9 | 7 | 2 | 8 | 1 | 5 | 3 |
| 3 | 1 | 7 | 5 | 6 | 9 | 4 | 2 | 8 |

## ჩვენ გვწერენ

# იხსენებენ სამამულო ომს

## ომი და მშვიდობა



**1945 წელი**, გერმანია, ქ. ბერლინი. ევროპაში II მსოფლიო ომის დასასრულამდე ცოტა დროა დარჩენილი. საბჭოთა ჯარების ოფიცერი გიორგი ჯახველაძე დაჭრილი მიიყვანეს ჰოსპიტალში. პირველადი სამედიცინო დახმარება გერმანელმა მედიცინის დამ ჰერდა ჰაველმა აღმოუჩინა. გიორგიმ ბრძოლის ველზე შეისწავლა გერმანული ენა მაღალ დონეზე, ამიტომ თარჯიმანის გარეშე თავისუფლად ამყარებდა კავშირს გერმანელებთან. სწორედ ამ დროს გაიღვიძა გრძნობამ, რომელსაც სიყვარული ჰქვია. გიორგის და ჰერდას ერთმანეთი შეუყვარდათ, მაშინ, როცა გერმანელი და ქართველი ტყვიას ესროდნენ ერთმანეთს.

„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. ჰოდა დაიწყეს სიყვარულის შენება. მაშინ ეს ახალგაზრდები 23 წლისანი იყვნენ. ამ დროს დამთავრდა II მსოფლიო ომი. გერმანელი გოგონას ოჯახი ბერლინიდან ქ. ერფურტში გადავიდა საცხოვრებლად. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ქ. ერფურტი ტურინგენის მიწის დედაქალაქია, სადაც დღეს ჩვენი თანამემამულე, სოფ. მანავის მკვიდრი გიორგი ვაჭრიშვილი იღებს უმაღლეს განათლებას.

ჰერდა ჰაველმა საქართველოში გადაწყვიტა თავისი მეგობრის მოძიება. ომის დამთავრებიდან 17 წლის შემდეგ, 1962 წლის 4 იანვრის გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ ფურცლებზე დაიბეჭდა წერილი სათაურით: „ვეძებ ოფიცერს“, სადაც გიორგის მოძებნაში ითხოვდა ქართველების დახმარებას, მაგრამ უშედეგოდ, – მან გიორგი ვერ იპოვა. ქართველი ოფიცერი საქართველოში არ დაბრუნებულა.

გაზეთში გამოცხადებიდან გავიდა 53 წელი. გიორგი ჯახველაძის დისშვილიშვილმა, მცხეთელმა გოგონამ ეთუნა მაჩხანელმა წერილზე მითითებულ მისამართზე მოიძია ქ-ნ ჰერდას ტელეფონის ნომერი და როდესაც აკრიფა ნომერი და პასუხი გაიგონა – გაშეშდა – 1922 წელს დაბადებული, 94 წლის ჰერდა ჰაველი-ჰოფმანი ცოცხალი აღმოჩნდა. ეთუნა მაჩხანელი და გიორგი ვაჭრიშვილის დედა მცხეთელი მეგობრები არიან. გიორგიმ სტუდენტური არდადეგები გაატარა საქართველოში. ეთუნამ სუვენირი გაატანა გიორგის გერმანიაში ქ-ნ ჰერდასთან, რადგან ერთ ქალაქში ცხოვრობდნენ ადვილად მოძებნიდა მას.

გიორგი მოულოდნელად ესტუმრა გერმანელ ქალბატონს და ასე გაეცნო: „მე გიორგი ვარ, საქართველოდან, მიმიღებთ?!“ მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ომის დამთავრებიდან 70 წლის შემდეგ, 94 წლის ასაკში სიყრმის სიყვარულმა გაიღვიძა. ქართველ ოფიცერსაც ხომ გიორგი ერქვა, გიორგიც ხომ საქართველოდან იყო წასული გერმანიაში.

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ გირშელი ამბობს: „მოულოდნელად გაღვიძებული ავაზააო, ყველაზე მეტად საშინელი რამ, მე კი მგონია, სიყრმის სიყვარულის გაღვიძება, მასზედ მეტია“. სიყრმის სიყვარული გაახსენდა ჰერდა ბებიას გიორგის გაცნობისას. ქართული ტრადიციით სუფრა გაუშალა ახალგაცნობილ სტუმარს. 2016 წლის შობა-ახალი წელი პირველად ჰერდა ბებიამ მიულოცა „ახლადშეძენილ შვილიშვილს“, მანაველ გიორგი ვაჭრიშვილს.

გიორგის საქართველოში 2 ბებია ჰყავს: სოფ. მანავში და ქალაქ მცხეთაში. ახლა მე-3 ბებია გამოუჩნდა გერმანიაში, რომელიც მზრუნველობს, საჩუქრებით ახარებს სტუდენტ შვილიშვილს და ბებიების მონატრებას ნაწილობრივ უქარწყლებს.

ჩვენს წინაპარს ზუსტად უთქვამს: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“-ო.

***ემიგრანტი სტუდენტის დედა***

*მეგი ნონეშვილი*

**ლექსს ვუძღვნი სამამულო ომში დაღუპულ მამამთილის ქიტა ფანოზიშვილის ხსოვნას**

### ჯარისკაცის ქვრივი

თმებში ზამთარი ჩამიდგა,
მათეთრებს სევდა უძირო,
გული ლოდინმა დაღალა,
თვალები – ღამემ უძილომ.
რაღა არ გადავიტანეთ
მე და ამ ჩემმა შვილებმა –
საჭმელი გვეკლდა, სიცივე –
ლოგინში არ გვაძინებდა
მაგრამ სულ კი არ მოვდუნდი,
განა დავყარე ფარ-ხმალი?!
შენ თუ მანდ ფრონტზე იბრძოდი,
მე აქ მინდვრებსა ვფარცხავდი.
ისევ მოგელი, სახლში ვარ,
არ გაგიციე კერია –
შვილ-შვილიშვილი დავზარდე,
შენს სადიდებელს მღერიან.

შორს დარჩა მძიმე დღეები,
მოშუშდა ომის ჭრილობა,
მაგრამ არ დაგვიწყებია
შენი მამულიშვილობა.
ნუ გამიწყრები ხანდახან
თვალებს თუ ცრემლით ვისველებ,
მაინც მოგელი, თუმცა შენ
საძმო საფლავში ისვენებ.
ვამაყობ შენი სახელით,
შენი საქმით და კვეთებით,
ვიდრე არსებობს სამყარო
უკვდავ კოცონად ენთები.
კაცს უსახელო სიცოცხლე
რა თავში იხლი, რად გინდა?!
თუ თავის ხალხს და ქვეყანას
არ გაედები გზად-ხიდად?!
ჩემ სევდას ნუ შემოსწყრები
შენით ვამაყობ, იცოდე,
მუდამ შინა ხარ, თუმცაღა
შინმოუსვლელი გიწოდეს.

*ლამარა მათიაშვილი-ფანოზიშვილი*

***86 წლის***

## მადლობა



**საგარეჯოში** მოქმედი შპს „მექანიზატორი“, რომლის დირექტორიც **გია მარხვაშვილია,** წლებია კეთილსინდისიერად ემსახურება ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობას. უკვე მესამე წელია წარმატებით ხორციელდება ჩვენი ქვეყნის მთავრობისა და ხელისუფლების პროგრამა – მცირემიწიან ფერმერთა დასახმარებლად. სწორედ ამ პროექტის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული შპს „მექანიზატორის“ თანამშრომლები. ისინი ყველანაირად ეხმარებიან მოსახლეობას – დროულად, ოპერატიულად ცხადდებიან იმ ნაკვეთებში, რომლის დამუშავებაც სასოფლო-სამეურნეო ბარათებითაა რეგისტრირებული. მადლობა შპს „მექანიზატორის“ დირექტორს **გია მარხვაშვილს და მის თანამშრომლებს** ასეთი კეთილსინდისიერი და გულიანი თანადგომისათვის.

***სოფელ მანავის მოსახლეობის სახელით გამგებლის წარმომადგენელი***

*დიმიტრი საბაშვილი*

**მადლობას** ვუხდი საგარეჯოში არსებულ შპს „Auto gold service“-ის დირექტორს **მერაბ ჭიაურელს,** მის თანამშრომლებს **ტატო დემურიშვილსა და ჯუბა აზნაურაშვილს,** შპს-ს ყველა თანამშრომელს იმ გულისხმიერებისა და პროფესიონალიზმისათვის, რაც მათ პირადად ჩემს მიმართ გამოიჩინეს და საერთოდ, იჩენენ ყველა კლიენტის მიმართ.

*დიმიტრი (თამაზ) საბაშვილი*

***სოფ. მანავი***



## გამოსათხოვარი

### ომარ გოცირიძე

### კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

**საგარეჯოელ** ინტელიგენტთა პლეადას კიდევ ერთი ჭეშმარიტი ქართველი კაცი დააკლდა – ომარ გოცირიძე. კაცი, რომელიც თავისი ცხოვრების წესით, ქრისტიანული მრწამსით, მოყვასის დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით მხოლოდ საგარეჯოელების სიყვარულს, პატივისცემას და მოწიწებას როდი იმსახურებდა. განათლებული, ერუდირებული, შინაგანი მდიდარი კულტურის მქონე პიროვნება და ყოველივე ქართულის მიმართ მძაფრი სიყვარულით გაჯერებული მართლმადიდებელი თავისი ყოველდღიური ცხოვრებით საგარეჯოელთათვის კოლორიტ პიროვნებად აღიქმებოდა. წარმოუდგენელი იყო საგარეჯოს ინტელიგენცია, საგარეჯოს რაიონის მრავალრიცხოვანი პედაგოგიური კოლექტივი მის გარეშე – პიროვნებისა, რომელსაც სათქმელის თქმაც წონასწორობის დაცვით და რაც მთავარია, ლამაზად იცოდა. დიახ, მას დაუსრულებლად, ერთნაირი სიმძლავრით შეეძლო საუბარი საქართველოზე, ქართველობაზე, კაცობაზე და საუბარი მომავალი თაობის სწორი აღზრდა-განვითარების, განათლების, მათი დამოძღვრის შესახებ.



ომარ გოცირიძე ძირძველი საგარეჯოელი არ იყო. რაჭველმა კაცმა ქლუხორში დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი მისი მშობლები საგარეჯოში დაფუძნდნენ და ომარიც თავის უმცროს და-ძმასთან და მშობლებთან ერთად საგარეჯოელი გახდა. და თუ ვინმეს მიანიჭებდნენ საგარეჯოელის საპატიო წოდებას, ერთ-ერთი პირველთაგანი ომარ გოცირიძეც იყო.

1965 წლიდან საგარეჯოს პოლიტექნიკურ ტექნიკუმში დაიწყო მუშაობა, მანამდე საგარეჯოს I საშუალო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკას ასწავლიდა. სწორედ 1965 წლიდან იწყება პედაგოგიური მოღვაწეობა იმ სასწავლებელში, რომელშიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი სწავლობდა. სწავლობდა ომარ გოცირიძის მკაცრი, მაგრამ მეგობრული მეთვალყურეობით. დიახ, მან თითოეული მოსწავლის, სტუდენტის შესაძლებლობები იცოდა და არასოდეს უკარგავდა მათ ამ შესაძლებლობის გამოვლენის შანსს. ომარი წლების მანძილზე ჯერ სასწავლებლის დირექტორის მოადგილე იყო, შემდეგ დირექტორი და ყოველთვის რჩებოდა მოსწავლეების კეთილ მეგობრად, მრჩევლად. საინტერესო იყო სწავლის პროცესის გარდა სასწავლებლის მოსწავლეთა თვითშემოქმედებითი საქმიანობა, სისხლსავსე ცხოვრებით, დიდი წარმატებებით ფუნქციონირებდა თითოეული ფაკულტეტი და ეს იმ კოლექტივის ძალისხმევით ხდებოდა, რომლის სათავეშიც საქმის უღალატო კაცი – ომარ გოცირიძე იდგა.

შემდეგ კი იყო ტკივილი სასწავლებლის დახურვისა...

შესანიშნავი პიროვნება საკუთარი ოჯახის დიდი ბურჯიც იყო. სიყვარულით შერთულ მეუღლესთან, საგარეჯოელ დალი ღვინაშვილთან ერთად ორი უსაყვარლესი შვილიც აღზარდა. მზრუნველი მამა, უღალატო მეგობარი იყო შვილებისათვის. მათ სიყვარულში გალია წლები და 13 თებერვალს 78 წლის შესრულებას მძიმე, განუკურნებელი სენით შეხვდა... ვარდობისთვეში გააცილა საგარეჯომ თავისი თანამოქალაქე, მშობლიური საგარეჯოს წინაშე ვალმოხდილი კაცი, რომელიც უდიდესი სიყვარულით დააბიჯებდა საგარეჯოს ქუჩებში და სიცოცხლეში გაცემულ სიყვარულს თანაქალაქელებისაგან სიყვარულითვე იმკიდა.

ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული უფალმა!

დიდხანს, დიდხანს ვერ დაგივიწყებთ, ბატონო ომარ!

*ყოფილი საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი*

ახლობლები გიორგი გარსიაშვილი, ლევან ტიგინაშვილი, ამირან ოტიაშვილი, ავთო კუპრავა ოჯახებით იუწყებიან

**ომარ გოცირიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru